ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი" წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი" (შემდგომში - „კოლეჯი") წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი არეგულირებს კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულთა მიერ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

მუხლი 2. კოლეჯის წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა

2.1 წესრიგის და უსაფრთხოების დაცვის მიზნით კოლეჯს ემსახურება ოთხი დარაჯი. შენობის სართულებზე წესრიგის უზრუნველსაყოფად შედგენილია მასწავლებელთა მორიგეობის ცხრილი რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ. მორიგეობის ცხრილზე კონტროლს ანხორციელებს დირექტორის მოადგილე.
2.2 კოლეჯი აღჭურვილია თანამედროვე ვიდეოსათვალთვალო კამერებით, შენობასა და ეზოში. დამონტაჟებულია 15 ერთეული ვიდეო სათვალთვალო კამერა, (მათ შორის 2 ერთეული - გარე გამოყენების და 13 ერთეული შიდა გამოყენების).

მუხლი 3. დარაჯი

3.1 საშტატო განრიგის შესაბამისად, კოლეჯის სადღეღამისო ცვლაში დასაქმებული დარაჯი უზრუნველყოფს კოლეჯში წესრიგის დაცვას.
3.2. დარაჯის უფლებები და მოვალეობები:
ა) კოლეჯში განთავსებული მატერიალური ფასეულობების (ქონების) დაცვის უზრუნველყოფა, ყველა აუცილებელი და შესაძლო ზომის გამოყენება მათი დაზიანების/განადგურების თავიდან ასაცილებლად;
ბ) კოლეჯში შემომსვლელ და გამსვლელ პირთა ვინაობის, ნებისმიერი მატერიალური ფასეულობის გატანა-შემოტანაზე კონტროლი;
გ) პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულ პირთა გარდა, სხვა პირთა კოლეჯის ტერიტორიაზე შემოშვება მხოლოდ კოლეჯის ადმინისტრაციის ნებართვით;
დ) კოლეჯის ტერიტორიაზე (შენობა, ეზო) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა;
ე) წესრიგის დარღვევის, ავარიული ან/და სხვა საგანგებო მდგომარეობის შექმნისას დაწესებულების დირექტორისათვის ან/და დირექციის სხვა წარმომადგენლისათვის ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ამ უკანასკნელთან შეთანხმებით საგანგებო სიტუაციების ან/და პოლიციისა და შესაბამისი სამსახურების გამოძახების უზრუნველყოფა;

მუხლი 4. დასკვნითი დებულებანი

4.1. წინამდებარე წესში ცვლილებების და /ან დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით(ბრძანებით)